დამტკიცებულია
შპს ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესის
დირექტორის 2024 წლის ბრძანებით N1/22

შპს ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესის
ხარისხის მართვის მექანიზმები

თბილისი

ხარისხის მართვის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ხარისხის მართვა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას.
2. წინამდებარე დოკუმენტის შექმნის მიზანია შპს ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესის (შემდგომში „სკოლის“) მისიის და ხედვის განხორციელება. ის ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივი სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას.
3. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა:
- გამჭვირვალობა და გახიარებულობა;
- მონაწილეობითობა;
- უწყვეტობა;
- ანგარიშვალდებულება;
- გუნდურობა.

მუხლი 2. სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

1. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ისე ძირითადდა დამხმარე პროცესებს.
2. მმართველობითი პროცესი უკავშირდება სკოლის საქმიანობის დაგეგმვას და კონტროლს. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება (სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა).
3. ძირითადპროცესადსკოლაში განისაზღვრება:
✓ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/გაუმჯობესება;
✓ სასკოლო კურიკულუმის განხორციელება;
✓ სასწავლო პროცესის ორგანიზება, მართვა და ა.შ
4. სკოლაში მიმდინარე დამხმარე პროცესები ხელს უწყობს ძირითადი პროცესების წარმართვას - სასწავლო პროცესის სრულფასოვან განხორციელებას. სკოლაში დამხმარე პროცესებადითვლება:
- განათლების მართვის საინფორმაციოსისტემის წარმოება;
- საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);
- მატერიალური რესურსების მართვა;
- ადამიანური რესრსების მართვა;
- მოსწავლის სერვისების განხორციელება;
- საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება;
- ფინანსური რესურსების მართვა;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა და ა.შ.

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფა

1. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა პერიოდულად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების პროცესების შეფასებას და შემდგომ

გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას.
2. ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების მუდმივი გადახედვა და მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური კონტროლი, რათა შენარჩუნებულიქნას ხარისხი და ეფექტურობა.
3. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას, რომლის საფუძველზეც ხდება საბოლოო შეფასება და ანალიზი.

მუხლი 4. ხარისხის მართვის ჯგუფი

1. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს. აღნიშნული მიზნით სკოლაში იქმნება ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, შეფასებას განვითარებისთვის/მხარდაჭერისთვის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს და განვითარებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.
2. ხარისხის მართვის ჯგუფის შეხვედრები იმართება თვეში ერთხელ და აღნიშნულ შეხვედრებზე განიხილება სკოლის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ხელშემწყობი საკითხები: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხები, ადამიანური რესურსის მუშაობის შედეგები და საჭიროების განსაზღვრა, განვითარების მიზნითრეკომენდაციების შემუშავება და ა.შ.

მუხლი 5. შიდა და გარე შეფასება

სკოლაში დანერგილია მიმდინარე პროცესების ორი ტიპის შეფასება:
1. **შიდა ხარისხის მართვის სისტემა,** რომელიც ეფუძნება ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფართოდგავრცელებულპარადიგმას ხარისხის მართვაში (ე.წ. PDCA):
P – plan – დაგეგმე;
D – do - განახორციელე;
C – check - შეამოწმე;
A – act - მოახდინე რეაგირება (განავითარე).
ის შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც სრული პროცესის გასაუმჯობესებლად, ასევე ცალკეული ეტაპების/სფეროების ხარისხის ასამაღლებლად.

2. **გარე ხარისხის კონტროლის სისტემა:** სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგი, ასევე, ყოველ 9 წელიწადში ერთხელ ავტორიზაციის მიზნით შესაბამისი ექსპერტების მიერ სკოლის ფილოსოფიის, სასკოლო კურიკულუმების, მატერიალური და ადამიანური რესურსების, მოსწავლეთა მხარდაჭრის სისტემის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.

მუხლი 6. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი – PDCA-ს პროცესი და ეტაპები

1. PDCA ციკლი დინამიური მოდელია. ციკლის ერთი ეტაპის დასრულება ნიშნავს მეორე ეტაპის დაწყებას და ა.შ. ეხმიანება რა ხარისხის უწყვეტი

გაუმჯობესების კონტექსტს, PDCA პროცესი ყოველთვის შეიძლება თავიდან გაანალიზდეს და დაიწყოს ახალი ციკლი.ამ მოდელის გამოყენება -ნიშნავს,რომ სკოლამ:

ა) დეტალურად დაგეგმოს საკუთარი სამუშაო - განსაზღვროს, საქმიანობის ასპექტები, პროგრამები რა თანამიმდევრობით, ვის მიერ იქნება განხორციელებული და რომელი კრიტერიუმების მიხედვითშეფასებული.

ბ) განახორციელოს დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით;

გ)შეამოწმოს/გაანალიზოს მიღებული შედეგები;

დ) განსაზღვროს ნაკლოვანების მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები. ნაკლოვანების არარსებობის შემთხვევაში,დასახოს არსებული ვითარების გაუმჯობესების მექანიზმები.

მუხლი 7. სკოლაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი ეტაპების აღწერა სტანდარტებთან მიმართებით

სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფა მიმართულია წარმატებული საგანმანათლებლო გარემოს და ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად.პროცესი მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

1. დაგეგმვა

დასახული ამოცანების შესასრულებლად სკოლა **გეგმავს** გასატარებელ ღონისძიებებს (სკოლის სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა), რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოს, განხორციელების პერიოდს და პასუხისმგებელპირებს.

2. შემოწმების განხორციელება:

<u>**შემოწმების განხორციელების დროს**</u> **–** ***სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნითშემოწმდება:***

- სკოლის ფილოსოფიის,სკოლის განვითარების გეგმების შესაბამისობა;
- კურიკულუმები, სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი;
- აკადემიური პერსონალი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება სასწავლოპროცესში;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემა.

2.1 სკოლის ფილოსოფიის, სკოლის განვითარების გეგმების შესაბამისობა

<u>*სკოლის ფილოსოფიის შეფასებისას*</u> უნდა შემოწმდეს სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები რამდენად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და აღნიშნულთრამდენადგანსაზღვრავს საკუთარროლს.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით და ერთწლიანი სამოქმედო გეგმითდასახული აქტივობების შესაბამისობას ადგენს და მისი შესრულების მონიტორინგს (გაამართლა თუ არა დასახულმა სტრატეგიამ და ა.შ) ახდენს შესაბამისი სამუშაო ჯგუფი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული წესით

2.2 კურიკულუმები, სწავლის/ სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი.

ა) კურიკულუმების შეფასებისას შემოწმდება თუ რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი და რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილ ჩარჩოს ფარგლებში. სკოლას გათავისებული აქვს, რომ სასკოლო კურიკულუმის ეფექტიანად დანერგვისთვის საჭიროა სწავლების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება, შედეგების გათვალისწინებით მუდმივი სრულყოფა, აკადემიური პოტენციალის და მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენება და განვითარების ხელშეწყობა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება და გაკონტროლება.

ყოველ სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასკოლო კურიკულუმის ეფექტიანობის შეფასება და შემდგომი გაუმჯობესების გზების განსაზღვრა. კურიკულუმის განხორციელების/დანერგვის შეფასებისას აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი საკითხები:

- რა შედეგები მოიტანა ამა თუ იმ აქტივობამ;
- რამდენად მიაღწია სკოლამ სასურველშედეგებს;
- რამდენად კარგია მოსწავლეთა მოსწრება და ა.შ.

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მინიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგია.

გ) სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობის და ხარისხის შეფასებისას შემოწმდება თუ რამდენად შეესაბამება რეალურად მიმდინარე სასწავლო პროცესი საგნობრივი პროგრამით განსაზღვრულ ფორმატს და პირობებს, რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდება მასწავლებელი დაკისრებულ ვალდებულებებს. *სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი ხდება შემდეგი გზით: გაკვეთილებზე დაკვირვება, კლასზე დაკვირვება, შემაჯამებელი დავალებების ჩატარების გრაფიკის მონიტორინგი, სადიაგნოსტიკო წერების ჩატარება და ა.შ.*

2.3 აკადემიური პერსონალის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეასაბამისობა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ა) მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შემოწმებისას ხდება მისი შედარება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან და კურუკულუმებით გათვალისწინებულ აუცილებელ რესურსებთან. მატერიალური რესურსი უნდა იძლეოდეს სასკოლო კურიკულუმითგათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას და უნდა იყოს ხელმისაწვდომი მოსწავლისა და მასწავლებლისთვის. აუცილებელი მატერიალური რესურსი დგინდება განსახორციელებელი პროგრამების საჭიროებების შესაბამისად. შემოწმებას ექვემდებარება სასწავლო ფართი და ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, კომპიუტერული ტექნიკა, მათი გამართულად მუშაობა, განახლების საჭიროება. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ინტერნეტი, შიდა ქსელი, სათანადო კომპიუტერული პროგრამებითაღჭურვა და სხვ.), ვებ-გვერდი (უნდა ასრულებდეს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას) და სხვ.

გ) აკადემიური პერსონალის შეფასებისას ხდება სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის დადგენა შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით:

- სასწავლოპროცესის წარმართვის კომპეტენცია;
- კურიკულუმის/სასწავლოპროგრამის შემუშავების უნარი;
- სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა;
- შესასწავლ მასალის გადაცემისა და მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

- მოსწავლეების ცოდნის ობიექტური შეფასება;
- საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა და ა.შ.

2.4. მოსწავლეთა მხარდაჭრის სისტემის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით:

- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის შეფასება, ახალი მოსწავლეების ადაპტაცია;
- აკადემიური მიმართულებით მხარდამჭერი/საკონსულტაციო ღონისძიებები;
- პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- მოსწავლეების ინტერესებზე მორგებული დამატებითი, საგანმანათლებლო მომსახურებების არსებობა.

3. შემოწმება/ანალიზი:

საგანმანათლებლო სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლა შემოწმების ანალიზისათვის გამოიყენებს შემდეგ აქტივობებს:

- *სკოლის ფილოსოფიის გადახედვა;*
- *სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გადახედვა;*
- *სკოლაში მიმდინარე პროცესების სკოლის ფილოსოფიასთან შესაბამისობის დადგენა;*
- *სადიაგნოსტიკო*
- *წერების შედეგების ანალიზი;*
- *მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;*
- *ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი;*
- *სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების კვლევა/გამოვლენა/ანალიზი/შეფასება;*
- *ყველა საგნის კურიკულუმის არსებობის და მისი შინაარსობრივი შემოწმება;*
- *მატერიალური ბაზისა და სასწავლო რესურსების შემოწმება;*
- *საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო ადამიანური რესურსების შემოწმება;*
- *მოსწავლეთა მხარდამჭერი პროგრამების/აქტივობების ეფექტურობის ანალიზი;*
- *სკოლის კურსდამთავრებულთა შედეგების ანალიზი და ა.შ.*

4. რეაგირება - განვითარება:

<u>**რეაგირება**</u> – შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეების და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში საჭიროხდება სათანადო რეაგირება. ამ მიზნით ანონიმური გამოკითხვების ანალიზის, მონიტორინგის შედეგების, შემოწმება-შეფასების საფუძველზე, დირექცია/ხარისხის მართვის ჯგუფი ჯგუფი/სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს:

- *სკოლის ფილოსოფიაში ცვლილების შეტანის შესახებ;*

- *სკოლის განვითარების შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ;*
- *სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით;*
- *საჭიროების შემთხვევაში, არსებული კურიკულუმების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;*
- *საჭიროების შემთხვევაში, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლება/შეძენის თობაზე;*
- *სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის საქმიანობაში შესატანი ცვლილებების შესახებ;*
- *მოსწავლეთა მხარდაჭრის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.*

მუხლი 8. კვლევები და კითხვარები

1. სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და სასწავლო პროცესის შემდგომში გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში ყოველწლიურად ტარდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვები ხელს შეუწყობს სკოლის საჭიროების გამოვლენას. თუ რა კუთხით სჭირდება სასწავლო პროგრამული, მატერიალური თუ ადამიანური რესურსის კუთხით გაუმჯობესება და შესაბამისი ღონისძიებების/აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება. სკოლის საჭიროებების დადგენით, დირექცია შეძლებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

2. ანალიზი მუშავდება და კონფიდენციალურად განიხილება ცალკეულ პედაგოგთან. შეფასების ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები განიხილება პედაგოგთა და თანამშრომელთა შეხვედრებზე, ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. აღნიშნულის ანალიზის საფუძველზე ხდება სასწავლოპროცესთან დაკავშირებითგადაწყეტილების მიღება.

მუხლი 9. ანგარიშვალდებულება

სკოლის თანამშრომლები სკოლის სტრატეგიული/სამოქმედო გეგმისა და დირექტორის მიერ დაკისრებული მოვალეობების ფარგლებში, წარმოადგენენ ვალდებულების შესრულების ანგარიშს წინასწარ განსაზღვრულვადაში ან მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 10. წესის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა

1. წინამდებარე წესს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
2. წინამდებარე წესის გაუქმება და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველპუნქტში მითითებული წესით.